არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

„დაჭრილ მებრძოლთა თანადგომის ფონდი“-ს

2020 წლის
ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
მიზნობრივ დაფინანსებაში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10

შპს „KPMG Georgia“
ჯი ემ თი პლაზა
მე-5 სართული, თავისუფლების მოედანი №4
თბილისი, საქართველო 0105
ტელეფონი: +995 322 93 5713
ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

ა(ა)იპ „დაჭრილ მებრძოლთა თანადგომის ფონდი“-ს აქციონერებს

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ ა(ა)იპ „დაჭრილ მებრძოლთა თანადგომის ფონდი“-ს (შემდგომში „ფონდი“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სრული შემოსავლის ანგარიშგებას, მიზნობრივ დაფინანსებაში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას ამავე თარიღებით დასრულებული წლისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და სხვა ახსნითი ხასიათის ინფორმაციის შემცველ განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, სამართლიანად ასახავს ფონდის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISAs) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა, ხსენებული სტანდარტების მიხედვით, აღწერილია დასკვნის ნაწილში „აუდიტორთა პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით), ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საქართველოში არსებულ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად, ჩვენ ვართ „ფონდისგან" დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში „IESBA“ კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას ჩვენ მიერ მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და შესაფერის საფუძველს.

სხვა საკითხი

ფონდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის განხორციელდა სხვა აუდიტორის მიერ, რომელმაც 2020 წლის 25 თებერვალს გამოთქვა არამოდიფიცირებული მოსაზრება აღნიშნულ ანგარიშგებაზე.

ხელმძღვანელობისა და მმართველობაზე უფლებამოსილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმების შემუშავებაზე, რომლებსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

შპს “KPMG Georgia”, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს ფონდის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ და მოახდინოს მსგავსი შეფასების წარდგენა მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს ფონდის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებებისა.

მმართველობაზე უფლებამოსილი პირები პასუხს აგებენ ფონდის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მივიღოთ გონივრული რწმუნება შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება შეცდომის ან თაღლითობის შედეგად გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორთა დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და მოიაზრებოდნენ არსებითად, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ მათ შეუძლიათ ცალკე ან ერთობლივად, გავლენა იქონიონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას.
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა ფონდის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად.
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებებში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს ფონდის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა, შესაძლოა გავლენა იქონიოს ფონდის უნარზე განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ.

– ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების სრულად წარდგენას, მის სტრუქტურას და შინაარს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანასური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

ნათია

ნათია თევზაძე
შპს "KPMG Georgia"
30 მარტი, 2021 წელი

ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ავანსები		653	3,686
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6	393,107	214,576
სულ მიმდინარე აქტივები		**393,760**	**218,262**
სულ აქტივები		**393,760**	**218,262**
კაპიტალი და ვალდებულებები			
მიზნობრივი დაფინანსება		393,760	218,262
სულ კაპიტალი		**393,760**	**218,262**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**393,760**	**218,262**

ლარი	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი			
შემოსავალი შემოწირულობებიდან	5	427,254	149,741
სულ შემოსავალი		**427,254**	**149,741**
ხარჯები			
ბენეფიციართა დაფინანსების ხარჯები		276,945	177,341
სხვა ხარჯები		365	225
სულ ხარჯები		**277,310**	**177,566**
საოპერაციო ზედმეტობა/(ნაკლებობა) წმინდა ფინანსურ შემოსავლამდე		**149,944**	**(27,825)**
საპროცენტო შემოსავალი		25,129	-
უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული წმინდა ამონაგები		425	202
წმინდა ფინანსური შემოსავალი		**25,554**	**202**
ზედმეტობა/(ნაკლებობა) და სულ სრული შემოსავალი/(ზარალი) წლის განმავლობაში		**175,498**	**(27,622)**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 30 მარტს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:

დავით მამულაიშვილი
გენერალური დირექტორი

ლარი	მიზნობრივი დაფინანსება
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	**245,884**
ნაკლებობა და სულ სრული ზარალი წლის განმავლობაში	(27,622)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	**218,262**
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	**218,262**
ზედმეტობა და სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	175,498
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	**393,760**

ლარი	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან		
შემოწირული ფულადი სახსრები	427,254	149,741
ბენეფიციართა დაფინანსება	(273,912)	(177,341)
გადახდილი გადასახადები	-	(5,100)
გადახდილი ბანკის საკომისიო	(365)	(225)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან	**152,977**	**(32,925)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან		
მიღებული პროცენტი	25,129	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან	**25,129**	-
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	425	202
წმინდა მატება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში წლის განმავლობაში	**178,531**	**(32,723)**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	214,576	247,299
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს (შენიშვნა 6)	**393,107**	**214,576**

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია და განთავსებულია 10-15 გვერდებზე

1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო

(a) საქართველოს ბიზნეს გარემო

ფონდის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში. შესაბამისად, ფონდზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ ჩამოყალიბებას და შესაბამისად იძლევიან განსხვავებული ინტერპრეტაციების საშუალებას, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოადგენს. COVID-19 კორონავირუსის პანდემიამ კიდევ უფრო გაზარდა გაურკვევლობა ბიზნეს გარემოში.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას ფონდის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

(b) ორგანიზაცია და ოპერაციები

ა(ა)იპ „დაჭრილ მებრძოლთა თანადგომის ფონდი“ (რეგისტრაციის ნომერი - 402093051) დაფუძნდა როგორც არაკომერციული ორგანიზაცია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, 2018 წლის 9 ივლისს. ფონდმა საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი მიიღო საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, 2020 წლის 13 აპრილს.

ფონდის დამფუძნებლები არიან სს "სილქნეტი" (რეგისტრაციის ნომერი - 204566978), საქართველოში სატელეკომუნიკაციო ინდუსტრიის ერთ-ერთი წამყვანი კომპანია, პაატა პატიაშვილი და დავით მამულაიშვილი.

ფონდის ძირითადი მიზნებია საქართველოს შეიარაღებული ძალების დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეების, ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარება უმაღლესი განათლებისა და პროფესიული გადამზადების კურსების დაფინანსებით/თანადაფინანსებით; სამედიცინო დახმარების გაწევა ჯანმრთელობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად; სხვა სახის მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

ფონდის მმართველ ორგანოს საბჭო წარმოადგენს. საბჭოს წევრები არიან გიორგი რამიშვილი, ალექსი თოფურია და დავით მამულაიშვილი.

ფონდის გენერალური დირექტორია დავით მამულაიშვილი.

ფონდის საქმიანობა სს "სილქნეტისა" და სხვადასხვა დაკავშირებული და მესამე მხარეების მიერ ფინანსდება.

ფონდის რეგისტრირებული იურიდიული მისამართია წინამძღვრიშვილის ქუჩა #93/95. თბილისი, საქართველო.

2. აღრიცხვის საფუძველი

(a) შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფასს“) სრულ შესაბამისობაში.

3. სამუშაო და წარდგენის ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც ფონდის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს და ვალუტას, რომელშიც წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება.

4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებაზე და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების წარმოდგენილ ოდენობებზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

სააღრიცხვო შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგად გამოწვეული ცვლილებები, აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზედაც მათ ექნებათ გავლენა.

ინფორმაცია იმ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებასთან დაკავშირებული კრიტიკული მსჯელობების შესახებ, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებებში აღიარებულ თანხებზე, განსაზღვრულია შენიშვნაში 11(a) - შემოწირულობებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება.

ხელმძღვანელობის აზრით, არ არსებობს დაშვებებსა და შეფასებებთან დაკავშირებული გაურკვევლობები, რომლებიც მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში არსებითი ცვლილებების გამოწვევის მნიშვნელოვანი რისკის წინაშე დგანან.

სამართლიანი ღირებულებების შეფასება

ფონდის გარკვეული სააღრიცხვო პოლიტიკა და ინფორმაცია საჭიროებს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას.

სამართლიანი ღირებულებები ჯგუფდება სხვადასხვა დონეების მიხედვით სამართლიანი ღირებულების იერარქიაში, შეფასების მეთოდოლოგიებში გამოყენებული ინფორმაციის საფუძველზე:

- *დონე 1:* კოტირებული საბაზრო ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე მსგავსი აქტივებისა და ვალდებულებებისთვის.
- *დონე 2:* შემავალი მონაცემები გარდა იმისა, რაც შესულია პირველ დონეში და რომლებიც ხელმისაწვდომია აქტივისა და ვალდებულებისთვის, როგორც პირდაპირ (მაგ. ფასები), ასევე ირიბად (მაგ. ფასებისგან წარმოებული).
- *დონე 3*: მონაცემები აქტივისა და ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივისა ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემების დაჯგუფება შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების სხვადასხვა დონეებში, მაშინ სამართლიანი ღირებულების შეფასების დაჯგუფება ხდება მთლიანობაში, სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეში, რომელშიც ყველაზე დაბალი დონის მონაცემებია, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გაკეთებული დაშვებების შესახებ დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შენიშვნაში 8.

5. შემოსავალი შემოწირულობებიდან

ფონდის შემოსავალი შედგება სს "სილქნეტისგან" და სხვა იურიდიული და ფიზიკური პირებისგან მიღებული შემოწირულობებისგან.

ლარი	2020	2019
სს "სილქნეტის" შემოწირულობები	300,000	-
სხვა დაკავშირებული მხარეების შემოწირულობები	3,120	47,500
მესამე მხარეების შემოწირულობები	124,134	102,241
სულ შემოსავალი შემოწირულობებიდან	**427,254**	**149,741**

6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
საბანკო ნაშთები	393,107	214,576
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**393,107**	**214,576**

ფონდის დაქვემდებარება საბანკო ნაშთებთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკზე წარმოდგენილია შენიშვნაში 8(a)(*ii*).

7. კაპიტალის მართვა

ფონდის საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე, ფონდს არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა.

ფონდი არ ექვემდებარება გარედან დაწესებულ კაპიტალთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.

8. სამართლიანი ღირებულებები და ფინანსური რისკის მართვა

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფონდის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებას არის მიახლოებული.

(a) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობის გამო ფონდი ძირითადად საკრედიტო რისკს ექვემდებარება. ფონდის საქმიანობის ხასიათის გათვალისწინებით, რომ ფონდი არსებითად არ ექვემდებარება ლიკვიდურობის და საბაზრო რისკებს.

(i) რისკის მართვის სტრუქტურა

ხელმძღვანელობას აქვს ზოგადი პასუხისმგებლობა ფონდის რისკის მართვის სტრუქტურის დადგენასა და ზედამხედველობაზე.

ფონდის რისკების მართვის პოლიტიკები განისაზღვრება მის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკებისა და საზღვრების დაცვის გაკონტროლებისთვის. რისკის მართვის პოლიტიკები და სისტემები რეგულარულად გადაიხედება ბაზრის პირობებისა და ფონდის საქმიანობაში ცვლილებების ასახვის მიზნით. ფონდის საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე, ფონდი არსებითად არ ექვემდებარება ლიკვიდურობის და საბაზრო რისკებს.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს ფონდის ფინანსური ზარალის რისკს, თუ ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაგენტი ვერ დააკმაყოფილებს მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ამგვარი რისკი ძირითადად წარმოიშვება საბანკო ნაშთებიდან.

საკრედიტო რისკზე დაქვემდებარება

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო დაქვემდებარებას. მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკზე, საანგარიშგებო თარიღისთვის, იყო შემდეგი:

ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	393,107	214,576
	393,107	**214,576**

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები განთავსებულია ერთ ქართულ ბანკში და ხელმძღვანელობის აზრით, არ არსებობს კონტრაგენტის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკი.

ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების გაუფასურება შეფასდა 12-თვიანი მოსალოდნელი ზარალის საფუძველზე და ასახავს დაქვემდებარებების მოკლე ვადიანობას. ფონდი მიიჩნევს, რომ მის ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი და რომ ფასს 9-ის გავლენა არის არა-არსებითი. ფასს 9-ის მიხედვით, გაუფასურების ზარალი არ ყოფილა აღიარებული ფონდის 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

9. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მშობელი კომპანია და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

ფონდის დამფუძნებლები არიან სს "სილქნეტი", პაატა პატიაშვილი და დავით მამულაიშვილი. ფონდის ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია ქვემოთ.

(a) შემოსავალი შემოწირულობებიდან

ლარი	2020	2019
სს "სილქნეტის" შემოწირულობები	300,000	-
სხვა დაკავშირებული მხარეების შემოწირულობები	3,120	47,500
	303,120	**47,500**

(b) ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებული მხარის ფინანსურ ინსტიტუტთან

ლარი	2020	2019
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების ნაშთი	393,107	214,576
საპროცენტო შემოსავალი	25,129	-

(c) სხვა სარგებელი

ფონდს არ ჰყავს საკუთარი თანამშრომლები. პერსონალის ხარჯებს გასწევს და იხდის სს „სილქნეტი“.პროფესიული მომსახურების ხარჯებს აფინანსებს სს "სილქნეტი".

10. შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

11. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ქვემოთ განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში.

(a) შემოსავალი შემოწირულობებიდან

სს "სილქნეტის“, სხვა დაკავშირებული მხარეების და მესამე მხარეების საქველმოქმედო შემოწირულობები არის უპირობო და აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, მაშინ როდესაც ფონდი მიიღებს დაფინანსებას.

(b) ბენეფიციართა დაფინანსების ხარჯები

ბენეფიციართა დაფინანსების ხარჯები წარმოადგენს საქველმოქმედო განაცემებს და მასთან დაკავშირებულ გადასახადებს, რომელსაც ფონდი იხდის ბენეფიციარის ნაცვლად. ბენეფიციართა დაფინანსების ხარჯები ბენეფიციარების სასარგებლოდ, სამედიცინო დახმარების, პროფესიული გადამზადების კურსებისა და სხვა სახის დახმარების გაწევის მიზნით განხორციელებული, მრავალი განაცემისგან შედგება და აღიარდება მათი ბენეფიციარებზე გადაცემისთანავე.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი მიღებით 2020 წლის აპრილიდან, ფონდზე გავრცელდა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი საქველმოქმედო ორგანიზაციის საქმიანობისთვის დადგენილი შეღავათები, შესაბამისად, ფონდი გათავისუფლებულია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადებისაგან მის ძირითად საქმიანობასთან მიმართებაში.

(c) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულადი სახსრების ნაშთებს და ვადიან ანაბრებს, რომელთა დაფარვის ვადა არის სამი თვე ან ნაკლები შეძენის თარიღიდან. მათი სამართლიანი ღირებულების ცვლილების რისკი არა-არსებითია.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წარმოდგენილია ამორტიზირებული ღირებულებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

(d) საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხდება მის მოგებაზე ან ზარალზე დარიცხვისთანავე, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

12. COVID-19-ის გავლენა

2020 წლის დასაწყისში COVID-19-ის სწრაფმა გავრცელებამ მსოფლიოს გარშემო, იქონია არსებითი გავლენა და ცვლილებები შეიტანა ბიზნეს გარემოში მსოფლიოს გარშემო ყველა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც.

2020 წლის 11 მარტს, მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონავირუსის პანდემია გამოაცხადა. COVID-19 -ის საზოგადოების ჯანმრთელობისთვის პოტენციურად სერიოზული საფრთხის საპასუხოდ, საქართველოს მთავრობამ ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგო ზომები მიიღო, რაც მოიცავს ტრანსსასაზღვრო გადაადგილებაზე შეზღუდვების დაწესებას, უცხოელი სტუმრებისთვის ქვეყანაში შემოსვლის შეზღუდვებს და ბიზნეს საზოგადოებისთვის მითითების მიცემას, რომ თანამშრომლები სახლიდან მუშაობის რეჟიმზე გადაიყვანონ.

ფონდის ხელმღვანელობას მიაჩნია, რომ COVID-19-ს არ ექნება არსებითი გავლენა მის საქმიანობაზე. პანდემიის განმავლობაში, ფონდი განაგრძობდა შემოწირულობების მიღებას და მისი ბენეფიციარებისთვის ფინანსური მხარდაჭერის გაწევას.

13. ახალი სტანდარტები და ინტერპეტაციები

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები რომლებიც 2020 წლის 1 იანვრიდან შევიდა ძალაში (ადრეული გამოყენებაც ნებადართულია); თუმცა ფონდს არ მიუღია აღნიშნული ახალი ან შეცვლილი სტანდარტები.

მოსალოდნელია, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი ახალი სტანდარტები/ დამატებები სტანდარტშიარ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას ფონდის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- *წამგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის დამატებები)*
- *საპროცენტო განაკვეთის ბენჩმარკის რეფორმა - ეტაპი 2 (ფასს 9, ბასს 39, ფასს 7, ფასს 4 და ფასს 16-ის დამატებები)*
- *2018–2020 წლების ფასს სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესება*
- *ძირითადი საშუალებები: შემოსავალი გამიზნულ გამოყენებამდე (ბასს 16-ის დამატებები).*
- *კონცეპტუალური ჩარჩოს მითითებები (ფასს 3-ის დამატებები);*
- *ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ ან გრძელვადიანად (ბასს 1-ის დამატებები);*
- *ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები და ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებების დამატებები;*
- *ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვა ან კონტრიბუცია (ფასს 10-ის და ბასს 28-ის დამატებები).*